აგიტატორთა შერჩევა პარტიული მუშაობის უაღრესად სერიოზული უბანია. საagიტაციო საქმეს აგიტატორთა კადრები სწყვეტენ და თუ აგიტატორებად და აგიტატორთა ხელმძღვანელებად შემთხვევითი ადამიანები არიან, მაშინ საagიტაციო მუშაობის გაშლაზე ლაპარაკი ლიტონი სიტყვაა და მეტი არაფერი.

თბილისის რაიონის ჭვემო ავჭალის კოლმეურნეობა „ლენინიზმში“ მოსავლის აღება კომბაინებით დაძთავრდა. სურათზე: კომბაინით აღებულ ხორბლის ხარისხის შემოწმება. ფოტო „სოფუზფოტოს“ საქ. განყ.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„დახურული კრება ღია დარბაზში“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 2 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილის საფუძველზე საქ. ალკკ ც. კ-მა შეამოწმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული საანგარიშო-საარჩევნო კრების შედეგები და გამოარკვია, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად შეეფერება სინამდვილეს.

ამ ორganიზაციაში სრულიად არადამაკმაყოფილებლად ჩატარდა მოსამზადებელი მუშაობა საანგარიშო-საარჩევნო კრების მოსაწვევად. კომკავშირელ ვაჟებსა და ქალებს წინასწარ ზუსტად არ აცნობეს, თუ რა დგება, რა დღესა და რომელ საათზე იყო მოწვეული კრება.

საქ. ალკკ თბილისის ორganიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომმა და სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტმა წინასწარ არ ჩაატარეს სერიოზული ახსნა-განმარტება და არ გააცნეს კომკავშირელებს საქ. ალკკ ც. კ-ის მე-3 პლენუმის გადაწყვეტილებანი და ინსტრუქცია „კომკავშირულ ორganოთა არჩევნების შესახებ“.

ამასთანავე დგილი ჰქონდა კომკავშირულ ორganოთა ანგარიშგებისა და არჩევნების დადგენილი წესის უხეშად დარღვევას, რაც გამოიხატა შემდეგში:

საანგარიშო - საარჩევნო კრება კომიტეტის მდივნის ამხ. ოჩიგავას გაცვლად გახსნა საქ. ალკკ თბილისის ორganიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ამხ. რ. დალაქიშვილმა, პრეზიდიუმში არჩეული 15 კაციდან 8 ისეთი ამხანაგია, რომლებიც არ ირიცხებიან ამ ორganიზაციაში და არა აქვთ მასთან პირდაპირი დამოკიდებულება.

კრებაზე ვამათი არადამაკმაყოფილებლად იყო გაშლილი, რასაც ადასტურებს გამოსვლათა დაბალი იდეურო-პოლიტიკური დონე, გამოსვლებში სჭარბობდნენ მეორეხარისხოვანი საკითხები, ადგილი ჰქონდა პირადი ხასიათის გაღაშქრებებს და სრულიად არადამაკმაყოფილებლად, ათანახმად პოლიტიკური სიმახვილე მოკლებულად, მოხდა კომკავშირული მუშაობის ისეთი საკვანძო საკითხების განხილვა, როგორიცაა კომკავშირელთა და კავშირგარეშე ახალგაზრდობის პოლიტიკურად აღზრდის საქმის ორganიზაცია, რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერება, კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ზინოვიევურო-ბუხარინულ ელემენტთა და სხვათა თვალთმაქცთა გამომჟღავნება კომკავშირში.

ყველა ეს დიდი ხვარდნა მეტ-ნაკლებად აიხსნება იმით, რომ საქ. ალკკ თბილისის ორganიზაციის ორჯონიკიძის რაიკომმა თავიდანვე ვერ შესძლო კომკავშირულ ორganოთა არჩევნების უზრუნველყოფა მტკიცედ ხელმძღვანელობით და საქ. ალკკ ც. კ-ის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებათა დაყვანა თვითეულ კომკავშირელამდე.

საქ. ალკკ თბილისის კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის ორganიზაციას და გვერდი აუარა აღნიშნულ შეცდომებს.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გააუქმა სახელმწიფო უნივერსიტეტში კომკავშირულ ორganოთა ჩატარებული ანგარიშგება და არჩევნები და საანგარიშო კრების ხელახლა მოწვევა დანიშნა 2 სექტემბერს.

საქ. ალკკ ც. კ-ში წინადადება ქისკა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტს და ორჯონიკიძის რაიკომს, აღმოფხვრან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის არსებული ნაკლოვანებანი, რადიკალურად გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა კომკავშირულ ორganოთა ანგარიშგებისა და არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისადმი და ხელმეორედ ჩაატარონ კრება აღნიშნულ ორganიზაციაში საქ. ალკკ ც. კ-ის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებათან მტკიცედ შეფარდებით.

საქ. ალკკ ც. კ-ის ბიურომ დასახა ორganიზაციული ღონისძიებანი საქ. ალკკ თბილისის ორganიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი

აკ. მგელაძე.

გამომგონებელთა საზოგადოება გაჯანსაღების გზაზე

გამომგონებლობის ფართოდ გაშლას, მასობრივი გამომგონებლობისათვის ხელშეწყობას, სახალხო მეურნეობის ამათუ იმ სადღეისო ბრობლემის გადაჭრელად კოლექტიური შემოქმედებითი მუშაობის მტკიცედ დანერგვას უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

1934-35 წლებში მუშა-გამომგონებლებმა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობას მისცეს 350 მილიონი მანეთის ეკონომია. 1936 წელს კი ეს თანხა 550.000.000 მანეთამდე გაიზარდა და ეჭვი არ არის წელს კიდევ უფრო იმატებს.

მარტო საქართველოს გამომგონებელთაგან ჩვენმა სახალხო მეურნეობამ 1932 წელს მიიღო 2.644.704 მან. ეკონომია, 1934 წელს—3.655.000 მან., 1935 წელს —7.062.850 მან., ხოლო გასულ წელს—10.799.000 მან.

ეს ციფრები ცხადჰყოფენ გამომგონებელთა საზოგადოების მნიშვნელობას ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. მაგრამ საზოგადოების მუშაობა რომ სათანადო სიმაღლეზე იდგეს, რა თქმა უნდა, ეფექტი გაცილებით მეტი იქნებოდა. ავიღოთ, თუნდაც მკერავთა საბაზო საბჭო. ამ საბჭოში გაერთიანებულან რამდენიმე სამკერვალო საწარმოს მუშა-გამომგონებლები. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, მაგრამ იგი არავის აურჩევია, იგი, თითქოს, „ზეციდან“ ჩამოვარდა. კალინინის სახელობის ქარხნის გამომგონებელთა საბჭოს თავმჯდომარეც არავის აურჩევია. ასეა გამომგონებელთა საზოგადოების უმრავლეს ადგილობრივ საბჭოებშიაც.

გამომგონებელთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოც არაა ამ მხრივ სუფთა. ვინ მოსთვლის რამდენჯერ შეიცვალა ამ საბჭოს წევრთა შემადგენლობა, ახლა კი შეიძლება აღინიშნოს, როგორც ფაქტი, რომ გამომგონებელთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მთელი შემადგენლობიდან, გამომგონებელთა მიერ არჩეულთაგან ცენტრალურ საბჭოში მხოლოდ ერთი კაცი დარჩა.

არევდარევა იყო საზოგადოების ახალ წევრთა მიღების საქმეშიც ხშირად საზოგადოების წევრად ღებულობდნენ ისეთ ადამიანებს, რომელთაც არასოდეს არავითარი კავშირი არ ჰქონიათ გამომგონებლობასთან.

კასპის ცემენტის ქარხანასთან გამომგონებელთა ორganიზაციის სიაში შეტანილი აღმოჩნდნენ—მოანგარიშეები, ფერშლები და სხვ.

ამავე დროს არის საწარმოები, სადაც ჰყავთ რაციონალიზატორები, მაგრამ საზოგადოებაში მათს მიზიდვაზე არავის უფიქრია (ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკა, ელექტროკავშირგაბმულობა და სხვ.)

გამომგონებელთა საზოგადოებაში შემძვრალი იყვნენ და ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ ხალხის მტრები—კრასტკინი და სხვა გარეწარნი. ისინი ჰკარგავდნენ მუშათა მიერ შემოტანილ წინადადებებს, თეშატურ გეგმებს და სხვ. ისინი აბრკოლებდნენ აგრეთვე მასობრივ მუშაობას, ხელს უშლიდნენ გამომგონებლებს, წალმა-უკუღმა ფანტავდნენ თანხებს და გამომგონებელთა საზოგადოების ადგილობრივი ორganიზაციები გაკოტრებამდე მიჰყავდათ (ხრამჰესი, ორჯონიკიძის სახ. ქარხანა, ნავთის გადამმუშავებელი ქარხნები და სხვ.).

ასეთი იყო დღემდე საქართველოს მუშა-გამომგონებელთა საზოგადოების სახე. რასაკვირველია, ასეთ მდგომარეობაში საზოგადოება ვერ დარჩება. მან დაუყოვნებლივ უნდა გააჯანსაღოს, გარდაჰქმნას მუშაობა, რათა ღირსეულად შესძლოს მის წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულება.

ამჟამად უკვე დაწყებულია და 20 აგვისტომდე უნდა დამთავრდეს გამომგონებელთა საზოგადოების აღგილობრივი საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. გამომგონებელთა საზოგადოების ადგილობრივი ორganიზაციები იწყებენ გამომგონებელთა მასებისათვის ანგარიშის ჩაბარებას. შემდეგ დაიწყება არჩევნები.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანია უნდა ჩატარდეს საბჭოთა დემოკრატიის პრინციპების დაცვით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით.

დ. ამირანიძე

ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის (ნავთლუღი) პარტკომის მდივანი ამხ. ჩერნიკოვი (მარცხნივ) ატარებს მეცადინეობას ფაბრიკის აგიტკოლექტივში. ფოტო „სოიუზფოტოს“ საქ. განყ.

მოვსპოთ მავნებლობის შედეგები

(სამტრედია, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან).

სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკას შარშან გეგმა არ შეუსრულებია. საანგარიშო წელი 1,2 მილიონი მანეთის ზარალით დამთავრდა. ეს იმის შედეგი იყო, რომ ფაბრიკა არ იცავდა გრეჟის ხარისხს, ადგილი ჰქონდა ნედლი პარკის გადახარჯვას, რანდემანი ნორმას აჭარბებდა.

ხარისხის გაუარესება და რანდემანის გადიდება გამოიწვია საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და აბრეშუმის მრეწველობის სამმართველომ მიერ ფაბრიკისათვის გეგმიური ნედლეულის მიუწოდებლობამ. კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი ჯაშუშები, ხალხის მტრები—ყურულაშვილი, მანჯგალაძე და სხვები ფაბრიკის მომარაგებას შლიდნენ. მავნებლებმა მუშათა ხელფასი ისე დაგეგმეს, რომ მუშას არ ეძლეოდა სტიმული ეზრუნა ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ნედლეულის ხარჯვის ეკონომიისათვის.

ჩამორჩენა გრძელდებოდა წელს პირველ კვარტალშიაც. საწარმოო თათბირზე სტახანოველები აშკარავებდნენ მთელ რიგ დეფექტებს, რომელთა დროზე აღმოფხვრას ფაბრიკის ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აქცევდა. უპასუხისმგებლობამ, უხეიერო მუშაობამ ჯერდევ უფრო ცუდი გახადა ფაბრიკის მდგომარეობა.

რა გამოარკვია სტახანოველთა თათბირმა? ის, რომ ფაბრიკაში მიმდინარე რემონტი ჩატარებული იყო ცუდად, დაზგები გაცვეთილი იყო, ტროცკისტი მავნებელი მანჯგალაძე-ჩომახიძის დრეტერებით ძაფს ამოღება აშლებოდა, ქარხნის ხელმძღვანელობა სრულიად უგულებელჰყოფდა სტახანოველებისათვის დახმარების გაწევას, არ უქმნიდა სტახანოველებს მუშაობის პირობებს. ძაფსაღებ საამქროში ვენტილაცია არ იყო მოწყობილი, ამის გამო საამქროში ორთქლი იდგა, მუშა ძაფს ვერ ხედავდა და ხარისხის დაცვას თვალყურსაც ვერ ადევნებდა. მექანიკური საამქროს უხეიერო მუშაობის შედეგად დაზგები ჩერდებოდნენ, დრეკცია მოწყვეტილი იყო მუშათა მასას, იგი ანგარიშს არ უწევდა მუშათა წინადადებებს...

მეორე კვარტალში მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა. მუშათა წინადადებების ნაწილი ცხოვრებაში გაატარეს. ამის შედეგად მეორე კვარტალის გეგმა 114 პროცენტით შესრულდა—7,8 ტონის ნაცვლად ამოიღეს 8,9 ტონა გრეჟა, გააუმჯობესეს რანდემანიც, წინათ შენელებული სტახანოვური მოძრაობა გამოცოცხლდა, სტახანოველებმა: ნადია სტურუამ, მარო პაპავამ, ზინა არველაძემ, ოლია გეგიამ, ანა ბურკაძემ და სხვებმა დიდად გაზარდეს საწარმოო მაჩვენებლები.

მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. ხელფასის აწყარა მავნებლური სისტემა ჯერ კიდევ ძალაშია.

ფაბრიკას შეეძლო უკეთესად მუშაობა, თუ მისი ხელმძღვანელნი, რომელნიც ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ, ძირფესვიანად აღმოფხვრიდნენ მავნებლობის შედეგებს. ეს პირველი და მთავარი საბრძოლო ამოცანაა. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ უდარდელობას იჩენენ. ფაბრიკას აკლია მუშა-ხელი. ამ მიზეზით ყოველდღიურად ცდება 16 აუზი, რითაც ყოველდღიურად გვაკლდება 25 კილოგრამი გრეჟა.

ფაბრიკაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოგვარებული მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, არ არის საკმარისი საერთო საცხოვრებლები, არსებულიც მოუწყობელია, ძვირია სადილებიც.

მდგომარეობის ასე დატოვება შეუძლებელია.

ტ. ტაბიძე

შაქრის ჭარხლის ღიღი ოსტატი

(ქასპი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან).

შარშან ივლეთის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. მარო ჩადუნელმა ჰექტარზე 850 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანა. წელს მან იკისრა ჰექტარზე მოიყვანოს 1.200 ცენტნერი.

და მართლაც, როცა ათვალიერებთ ამხ. ჩადუნელზე მომაგრებულ ჭარხლის პლანტაციას, გული სიხარულით გევსებათ. ჭარხლის ნათესი მშვენივრად გამოიყურება.

როგორ აღწევს ამხ. მარო ჩადუნელი წარმატებას? ივლეთის საკოლმეურნეო მნდვრებზეც ისევე წვიმს და მზეც ისე ჰფენს სხივებს, როგორც რაიონის სხვა კოლმეურნეობებში. აქ მთავარ როლს ბუნებრივი პირობები როდი თამაშობენ, არამედ საქმის ცოდნა, სიყვარული, ჭარხლის აგროტექნიკის დაუფლება.

ჭარხლის მაღალი მოსავლისათვის მზადებას ამხ. მარო ჩადუნელის ბრიგადა შემოდგომიდანვე იწყებს. საჭარხლე ნაკვეთს ბრიგადა ხნავს ძალიან 25—27 სანტიმეტრის სიღრმეზე, ხოლო გაზაფხულზე თესვის წინ გადახვნის დროს შეაქვს საქონლის გადამწყვარი პატივი.

ამ ღონისძიებების გატარებით, ამხ. ჩადუნელმა შეძლო ჰექტარზე 105.000 ძირი ჭარხლის შენარჩუნება.

ბრიგადა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჭარხლის თოხ

მშრომელთა წერილები

„წითელი ქილდა"

კოლმეურნეობა „წითელი ქილდა" (ახალქალაქის რაიონი) წევრთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათ ჩაიბარეს აქტი მიწის საძუდამო სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

— აწლა კი ბედნიერი ვარ, როცა მიწა სიკვდილამდე ჩემად მეგულება. — თქვა კოლმეურნე ალიკო მიქელაძემ.

ამ კოლმეურნეობის წევრებს წრომადღეზე ერგოთ 10,6 კგრ. ხორბალი, აგრეთვე — საქონლის საკვები, კულტ. ბალახეულის ნაყოფი (ფიგი, ცერცვი, უგვეხელი) და სხვ.

საშუალოდ თვითეულ ოჯახს გამოუშავებული აქვს 350-400 შრომადღემდე. საკმაოდ არიან ისეთი კოლმეურნეები, რომელთაც კერძო ბაზარზე გასასყიდი აქვთ 30-35 ცენტნერი პური.

ახკომლიან სოფელში 25 მოსახლემ დაიდგა ახალი სახლები, ფანჯრიანი და ჰერ-იატაკიანი, ეს იმ დროს, როცა ძველად მიწასიატაკიან, უსინათლო, „ერდოიან" სახლებში ცხოვრობდნენ. წინათ გლეხს ოჯახში მაგიდა არ გააჩნდა. მაგიდის მაგივრობას ასრულებდა ორი ფიცრისგან უბრალოდ გაკეთებული უფეხო „ფეხშუბი". ახლა ჩვენს კოლმეურნეობაში სიტყვა „ფეხშუბი" დავიწყებას ეძლევა. კოლმეურნენი მაგიდებს იძენენ.

— წელს თუ ერთი ხალიჩა მოვქსოვე, გაისად ორს მოვქსოვ, — ამბობს კოლმეურნე ვანო ოქროაძე. ოქროაძის ოჯახს 700 შრომადღე აქვს გამომუშავებული. ის ბაზარზე 40 ცენტნერ პურს გაჰყიდის.

ამდენივე შრომადღე აქვს ყარამან ალელიშვილს; ხოლო სერგო ძიქელაძის, მაქსო მაღრაძის, არჩილ მაღრაძის, არსენ ალელიშვილის, ვანო ხუციშვილის, ბესა ალელიშვილისა და ტაშტონ გოგალაძის შრომის წიგნაკებში 400-500 შრომადღეა ჩაწერილი.

ჩვენი კოლმეურნეობა შეძლებული და კულტურული ხდება. მომავალში უფრო მეტი შემოსავალი გვექნება. ახალი დაარსებული ფერმა კარგ მომსახურებას გაგვიწევს. პოკლე ხანში მოიგებს 20 ძროხა და 150 სულამდე ცხვარი. შემოდგომაზე კალოში შეიბმება 40 სული მოზვერი. გვყავს ჯიშიანი ბუღები და ვერძები. კოლმეურნეებს ნორმის მიხედვით პირად სარგებლობაში ჰყავთ წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი, შინაური ფრინველი, ღორი. 30 კომლს ჰყავს ფუტკარიც. აღარ არიან ჩვენს კოლმეურნეობაში უძროხოები და უცხვროები.

ყველა კოლმეურნე შეძლებული ხდება, მეტწილად ვასრულებთ დიდი ბელადის სტალინის ლოზუნგს.

სოსო ბალახაძე
კოლმეურნეობის თავმჯდომარე

წალკის. საქ. პროფსაბჭოს დასასვენებელ სახლში მრავალი მშრომელი ისვენებს **სურათზე:** დამსვენებლები ტყეში თამაშობენ ჭადრაკს.
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

სასჯუმრო — მოუვლელი, უყურადღებოდ მიგოვებული

მიმდინარე წლის აპრილიდან ქასაში მოეწყო სასტუმრო 2 ცალკე ნომრითა და 2 საერთო 12-საწოლიანი ოთახით. სასტუმროს აქვს მისაღები ოთახი, სამკითხველო და სასადილო-რესტორანი 3 კაბინით.

ამ შენობის მარტო რემონტსა და საჭირო ინვენტარის შეძენაზე წელს 50 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა. მიუხედავად ამისა, როგორც სასტუმროს (ეკუთვნის რაიკავშირს), სასტუმროს და სასადილოს გამგეა გრ. აზაროვი), ისე რესტორან-სასადილოს აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რასაც, თუ ახლავე არ მიექცა ყურადღება, შეუძლია სახიდისწერო შემთხვევამდე მიგვიყვანოს. ჯერ-ერთი, თითქმის მთელ შენობაში ელექტროგაყვანილობა რადიომავთულისაა, რომელიც 10 ნათურაზე მეტს ვერ უძლებს, მიუხედავად ამისა, ანთებენ 20-30-ს. მთავარი მაღალისტრალი არაა გაყვანილი, არამედ მავთული გაბმულია როგორც უბრალო თოკი (სახურავზე ლითონის მილის მუხლი არაა დაყენებული), ელდენის გაყვანილობა დადებულია ბეზე, რასაც შეუძლია ხანძარი გამოიწვიოს, მეორე — სასტუმროს მხოლოდ ორი თანამშრომელი ჰყავს — გამგე და დამლაგებელი, ამავე დროს სასტუმროს გამგეს დაკისრებული აქვს სასადილოს გამგებლობაც და ხურსათ-სანოვაგის მარაგებაც. ამის გამო, სასტუმრო ზმირად უყურადღებოდაა მიტოვებული და მოსალოდნელია ვაქურდვა.

სასტუმროში ადგილი აქვს საფინანსო დისკიპლინის დარღვევას. თვით რაიკავშირის გამგის მოადგილე ამბ. სანსონიას თითქმის ერთი თვეა დაკავებული აქვს ნომერი (ღამეში ღირს 12 მანეთი), მაგრამ დღემდე არ გადაუხდია არც ერთი ღამის ქირა და არც სასტუმროს დავთარშია ჟატარებული. აქვე ცხოვრობს რაიკავშირის სატრანსპორტო განყოფილების გამგე ს. ქადაგიძე. მასაც 4 ივნისიდან ქირა გადაუხდელი აქვს. 1 ივნისიდან სასტუმროში ბინადრობს დამზადების კანტორის გამგე ამბ. მურუსიძე, რომელსაც ქირა ასევე გადაუხდელი აქვს. დამხასიათებელია, რომ სასტუმროში შექმნილ ამ მდგომარეობასთან რაიკავშირს ყურადღება არ მოუქცევია.

მოწერილობებილია სასადილოს მუშაობაც — სასადილოს 7 თანამშრომლიდან, მიუხედავად ამისა, რომ ის 16 აპრილიდან არსებობს, თითქმის არცერთი არ არის კავშირის წევრი და არც ჯანმრთელობის მხრივ შემოწმებული, გარდა ამისა, სასადილოს არა აქვს კანალიზაცია, სამზარეულოში წყალი ჩამოდის, საპირფარეშო სამზარეულოს გვერდითაა. სასადილოში შენიშნულია ფასების დამახინჯების შემთხვევები, სანოვაგეს ხშირად გადამყიდველისაგან იძენენ. გარდა ღვინისა და არყისა, ბეერჯერ არავითარი სასმელი არ გააჩნიათ. პიანინო ფუჭად დგას, საერთოდ, როგორც სასტუმროს, ისე რესტორან-სასადილოს მდგომარეობა ამტკიცებს, რომ აქ დაუდევრობას, უპასუხისმგებლობას მაგრად მოუკიდებია ფეხი.

ნ. ახალაძე

თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ფიზკულტურული მოედანი 250 ბავშვს აერთიანებს. ბავშვები მთელ დღეს მოედანზე ატარებენ, ვარჯიშობენ, თამაშობენ, ცეკვავენ და მღერიან. **სურათზე:** ბავშვთა ჭასობრივი ცეკვა „მთვარე ანათებს". პირველ რიგში (მარცხნიდან) პიონერი ძ. არუთინოვი და ლილი ჩიქვაიძე.
ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

შამპანური ღვინოების ქარხანა

ქვემო-ავჭალაში ჩაის საწონი ფაბრიკის გვერდით, რომელიც ახლა შენდება, გაიშალა შამპანური ღვინოების მძლავრი ქარხნის მშენებლობა.

უკვე დამთავრებულია სადგომის აგება კახტორისათვის, შენდება საერთო საცხოვრებლები და მატერიალური საწყობი. ამ დღეებში დაიწყება ქვაბულის გათხრა მთავარი საწარმოო კორპუსისათვის, რომელიც იქნება 170 ათას კუბიკური მეტრის მოცულობის ოთხსართულიანი შენობა. თავისი სიდიდით შამპანური ღვინოების ახალი ქარხანა იქნება ეუთერთი ყველაზე დიდი სამრეწველო ობიექტი საქართველოში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქარხნის ორი ქვედა სართული მოქცეული იქნება მიწისქვეშ და დაიკავებს დაახლოებით ერთნახევარ ჰექტარ ფართობს (14.700 კვადრატულ მეტრს). ზედა სართულების წილად კი მოდის სულ 4.000 კვადრატული მეტრი. მაშასადამე, ქარხნის მეტი ნაწილი მოთავსდება მიწის ქვეშ. სარდაფებში თავს მოუყრიან ძირითად წარმოებას და შეინახავენ შამპახუო ღვინოებს.

ქარხნის სიმძლავრე უდრის 4 მილიონ ბოთლ შამპანურს წელიწადში. განზრახულია, რომ აქედან 3 მილიონი ბოთლი დამზადდეს სარეზერვუარო წესით, 1 მილიონი კი — ბოთლებით.

ძირითადი სამრეწველო კორპუსის გარდა, გათვალისწინებულია ბაქნიანი რკინიგზის ჩიხისა და მაცივარი ქარხნის აშენება.

აქვე, სამრეწველო ფართობზე, ქვემო-ავჭალის აღმოსავლეთ ნაწილში შეიქმნება მუშათა უბანი 500 მცხოვრებისათვის. უბანს იქნება თავისი კლუბი, კინოთეატრი, ფიზკულტურული მოედანი და სხვ.

მშენებლობა გათვალისწინებულია ორ რიგად. ქარხნის პირველი რიგი უნდა აშენდეს 1938 წელს, ხოლო მეორე რიგი—1940 წელს (საქდესი).

ბიბლიოგრაფია

პ. ს. ლანდია — „სამეურნეო გამოანგარიშება კალკულაციის საფუძვლებით"

ქართულ ენაზე სამეურნეო გამოანგარიშების დარგში მეთოდური თვალსაზრისით რიგიანად დამუშავებული სახელმძღვანელოებით მეტად ღარიბი ვართ.

ასეთ პირობებში პ. ს. ლანდიას წიგნი „სამეურნეო გამოანგარიშება კალკულაციის საფუძვლებით" საკმაო ინტერესს წარმოადგენს. მას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს სააღრიცხვო დარგის სკოლებს, განსაკუთრებით მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებელ კურსებს, მცირემცოდნეებს.

წიგნში მასალა მოხდენილად არის დალაგებული. ეს გამოცემა შეესაბამება ფართობებისა და მოცულობათა გამოანგარიშებისა და მოცულობათა გამოანგარიშებით, გამოსაანგარიშებელ სამუშაოთა შექანიზაციით, ამორტიზაციით და სხვ., რაც ეს ოდენ საჭიროა საერთოდ და განსაკუთრებით კოლმეურნეობებში შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვისათვის.

მთელი კურსი ისეა დამუშავებული, რომ მკითხველი ეცნობა სამეურნეო გამოანგარიშების ყველა ოპერაციას და კალკულაციის საფუძვლებს პრაქტიკული მაგალითების ფართოდ გამოყენებით.

წიგნში მოცემულია ბუმბერაზებულ გამოანგარიშებათა ხერხები.

წიგნს წამძღვარებული აქვს ანგარიშწარმოების საფუძვლები, რაც აუცილებელ საჭიროა ჰასობრივი კვალიფიკაციის კადრებისათვის.

კურსის ყოველ თავს დართული აქვს ბეროვე საკარგიშო მაგალითები. ამასთანავე მოცემულია ამოცანების გადაწყვეტა და დასკვნები.

სახელმძღვანელო შედგენილია მკაფიოდ და გასაგები ენით, თუმცა მასში არის რთული, მცირემცოდნე მკითხველისათვის გაუგებარი ადგილებიც — ფორმულები, რაც წიგნს მეტად აძნიშებს (მაგალ., 209 და 211 გვერდებზე).

მეტად დადია წიგნის ფასი — ყდით 14 მანეთი

შ. ჯელიძე

მესტიაში ავჭომობილებით

გასული წლის დამლევს ზემო-სვანეთის მწყობრებმა ძირითადად დაამთავრეს ზემო-სვანეთის გზატკეცილის გაყვანა. 1936 წლის 23 დეკემბერს ამონალის აფეთქებით ჩამონგრეულ იქნა ნაჩარგულის უზარმაზარი კლდე — უკანასკნელი დაბრკოლება გზის გასახსნელად.

25 დეკემბრის ზუგდიდიდან მესტიაში—ზემო-სვანეთის ცენტრში მივიდა პირველი ავტომობილები, რომლებსაც მშრომელნი უდიდესი ენტუზიაზმით შეეგებნენ.

ახალი გზის გაყვანით ზემო-სვანეთმა მიიღო საავტომობილო მაგისტრალი, რომელიც მას აკავშირებს საქართველოს და მთელი სსრ კავშირის კულტურულ ცენტრებთან. გზაზე ყოველდღე დადის საამშენებლო მასალით, სურსათით და სხვა საჭიროებით დატვირთული ავტომობილები. სვანეთის ისტორიაში პირველად მოეწყო ფოსტის გადატანა ავტომობილით მესტიაში და უკან.

მაგრამ გზის საგანე მის მრავალ უბანზე ჯერ კიდევ არ არის ნორმამდე მიყვანილი და გზა მთლიანად ვერ აკმაყოფილებს საავტომობილო მოძრაობის მოთხოვნებს. ამჟამად სწარმოებს მუშაობა ვაკისის გასაფართოებლად. გზის ყველაზე ძნელ უბანზე — 47 კილომეტრიდან (ზუნტარის კლდე) 77 კილომეტრამდე — სოფელ ლიხამდე გაშლილია საბჭენი კედლების მშენებლობა, აგრეთვე მიწისა და კლდის დიდი სამუშაოები. ამ სამუშაოთა ხაზით გზის მშენებლობა უკვე შესრულებულია წლიური დავალების 60-ზე მეტი პროცენტით. აგებულია 1.500 კუბიკური მეტრი საბჭენი კედლები, ჩატარებულია 175 ათას კუბიკურ მეტრამდე მიწის სამუშაოები და 73 ათასი კუბიკური მეტრი კლდის სამუშაოები. მომავალ წელს ანალოგიური სამუშაოები აწარმოებს შესტიის მისასვლელებზე (საქდესი).

კოლმეურნეთა ინიციატივა

ტყიბული (საკ. კორ.). რაიონულ გაზეთ „ტყიბულის მაღაროელის" რედაქციისა და ცუცხვათის ამბ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეთა ინიციატივით დიდი ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისათვის რაიონში ეწყობა ხალხური შემოქმედების ოლიმპიადა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საკოლმეურნეო სოფლის ყველა კულტურულ-შემოქმედებითი ძალები.

პარტრაიკომის ბიუროს დადგენილებით ხალხური შემოქმედების სარაიონო ოლიმპიადის მოსაწყობად და ადგილებისადმი ხილმძღვანელობის გასაწევად შეიქმნა სარაიონო კომიტეტი. ადგილებზე დიდი მოსამზადებელი მუშაობა გაიშალა.

ბოგვინიკი-ლევენფიში

მატჩი დაიწყება 5 ოქტომბერს

მოსკოვი, 26 ივლისი (საქდესი). ფიზკულტურისა და სპორტის სრულიად-საკავშირო კომიტეტმა დამტკიცა საბოლოო ვადები და წესი მატჩისა, რომელიც უნდა მოხდეს საბჭოთა კავშირის საჭადრაკო პირველობისათვის გროსმეისტერ ბოტვინიკსა და სსრ კავშირის ჩემპიონ ლევენფიშს შორის.

მატჩი შესდგება 10 პარტიისაგან, იგი დაიწყება ამ წლის 5 ოქტომბერს და გაგრძელდება 8 დეკემბრამდე. თუ მატჩში გაიმარჯვებს გროსმეისტერი ბოტვინიკი, იგი მიიღებს სსრ კავშირის ჩემპიონის სახელწოდებას ჭადრაკში. ლევენფიშმა რომ თავისი სახელწოდება შეინარჩუნოს, საკმარისია მატჩი ჩაატაროს ყაიმით — 5:5, გამარჯვების ან ყაიმით დამთავრების შემთხვევაში ლევენფიში მიიღებს აგრეთვე საბჭოთა კავშირის გროსმეისტერის სახელწოდებას. მატჩის თვითეული მონაწილე პირველი 40 სვლისათვის ღებულობს 2,5 საათს. თვითეული შემდგომი 16 სვლისათვის მათ მიეცემათ ერთი საათი. სსრ კავშირის საჭადრაკო პირველობის მატჩის მთავარი არბიტრი იქნება ნ. ვ. კრილენკო.

ჯერისჯი პედაგოგები

27 ივლისს ღამით შორეულ-აღმოსავლეთის მხარიდან თბილისში ჩამოვიდა ტურისტ მასწავლებელთა ჯგუფი 18 კაცის შემადგენლობით.

ექსკურსანტები უკვე დაახლოებით ერთი თვეა გზაში არიან. ისინი გაეცნენ ქალაქს, ინახულეს ა. ს. ჯრიბოედოვის საფლავი. აქედან ისინი შემგზავრებიან ბათომ-სოჭა-მოსკოვის გზით.

ამავე დღეს თბილისში ჩაშოვიდა 30 ექსკურსანტი—დასავლეთის ოლქის და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დაწყებითი და საშუალო სკოლების პედაგოგები.

ჯგუფი თბილისიდან გაემგზავრება გორში, დიდი სტალინის სამშობლოში, შემდეგ ცხუმრება აჭარას.

ტურისტთა ორივე ჯგუფი თბილისში ჩამოვიდა ავტომობილებით საქართველოს სამხედრო გზით (საქდესი).

ფეხბურთი

დაიწყო საკავშირო პირველობის გათამაშება

საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში წელს, ისე როგორც გასულ წლებში, სწარმოებს ხებაყოფლობითი შესპორტო საზოგადოებათა გუნდებს შორის. თამაშის საძლიერის მხრივ პირველობის გათამაშებაში მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან 6 ჯგუფად. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელო (რომელსაც ახლა ატარებს მოსკოვის „სპარტაკის" ოსტატთა გუნდი) მიენიჭება „ა" ჯგუფის საუკეთესო გუნდს.

ათი დღის წინათ პირველობის გათამაშება დაიწყეს „ე" ჯგუფის გუნდებმა, ამჟამად უკვე დაწყო უძლიერესი ჯგუფის („ა") გუნდების შეჯიბრებები; ამ ჯგუფში პირველობის მოცილენი არიან მოსკოვის გუნდები „სპარტაკი", „დინამო", „ლოკომოტივი" და „მეტალურგი", ლენინგრადის გუნდები — „დინამო" და „კრასნაია ზარია" და კიევის და თბილისის „დინამოს" გუნდები.

უკვე პირველმა შეჯიბრებებმა რამდენიმედ მოულოდნელი შედეგი მოიტანა. ასე, მაგალითად, კიევში ადგილობრივმა „დინამომ" — უკრაინის 1937 წლის ჩემპიონმა — წააგო „მეტალურგის" ახალგაზრდა გუნდთან, რომელიც პირველად გამოვის უძლიერეს კოლექტივების ჯგუფში. მატჩი დამთავრდა მოსკოვის ფეხბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 4:0. მოსკოვის და ლენინგრადის დინამოელთა შეჯიბრება, რომელიც ლენინგრადში ჩატარდა, დამთავრდა ყაიმით ანგარიშით 3:3. აღსანიშნავია, რომ მოსკოველებმა ეს შეჯიბრება ძალზე უხეშად ჩატარეს. მეორე ტაიმში მიხდერიდან გაიტანეს მოსკოველების მიერ დასახიჩრებული ლენინგრადის საუკეთესო ფეხბურთელები ა. ფედოროვი, პ. დემენტიევი და კუზმინსკი.

გასული წლისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირის პირველობა „ა" ჯგუფის გუნდებს შორის ჩატარებული იქნება ორ წრედ, ე. ი. გუნდები ითამაშებენ ორ ორ ჯერ. უკანასკნელი თამაში გაიმართება ოქტომბერში.

ორ წრედ თამაშობენ აგრეთვე „ბ" ჯგუფის გუნდები. ამ გუნდების პირველმა შეჯიბრებებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „სტალინგრადის" ფეხბურთელებმა (მოსკოვი) მოუგეს როსტოვის დინამოელებს ანგარიშით 2:0, ყაიმით (1:1) დაასრულეს შეჯიბრება ლენინგრადის „სტალინეცმა" და მოსკოვის წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა.

წყალსადენის მეურნეობის შესწავლა

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს შეისწავლოს თბილისის წყალსადენის მდგომარეობა და წყალსადენის ქსელის მუშაობა. კომისიაში შედიან ამხ. ალ. ეროგინი (თავმჯდომარე), ბ. თუნთია, ინე. გელეიშვილი, ამხ. ბიჩენკო, და ინჟ. შარაშენიძე.

კომისიას დავალებული აქვს აგრეთვე შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი თბილისის წყალსადენის მეურნეობაში შემჭიდროვებული სალაკვიდაციოთ.

ეს ღონისძიებანი კომისიამ უნდა წარუდგინოს თბილისის საბჭოს პრეზიდიუმს უახლოეს ერთ კვირაში.

ახალი ამბები

○ **თბილისში** ჩამოვიდა უცხოელი ტურისტების—ამერიკელების ჯგუფი. ჯგუფში შედის ამერიკის სკოლების 23 პედაგოგი.

○ **თბილისში** მყოფი ბასკ-ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი ლუის რეგეირო და სათადარიგო მთამაშე ხოზე იარაგორა დასასვენებლად გაეშგზავნენ ბორჯომში.

○ **დღეს**, 29 ივლისს, ახურება დოღის სეზონი. უკანასკნელ დოღზე მოწვეული არიან ბასკი ფეხბურთელები და თბილისის დინამოელები. დოღში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს და მეზობელი რესპუბლიკების საუკეთესო ცხენები. დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

○ **გაგრის** რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში გაიხსნა პირველი საკოლმეურნეო სტადიონი აფხაზეთში.

○ **ბათუმში** ჩავიდა ხერსონის ველოსიპედისტთა ჯგუფი, რომელმაც ველოგადარბენა მოახდინა შავი ზღვის სანაპიროზე. გადარბენის მონაწილეებმა გაიარეს 1.950 კილომეტრი.

შემთხვევები

○ **მკვლელობა.** ოჯახური უსიამოვნების დროს მოქ. ე. ა. ნერსესოვმა (გუმბრინის ქ. № 8) დანით მოჰკლა თავისი ცოლი ა. გ. შამიევა - ნერსესოვა. გვამი გადაგზავნეს ქალაქის საავადმყოფოს პროზექტურაში. მკვლელი შეიპყრეს. გამოძიებას აწარმოებს 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურატურა.

○ **უბედური შემთხვევა.** 25 ივლისს საბაუის ქუჩაზე № 2 მარშრუტის ტრამვაის ვაგონიდან ჩამობრა 11 წლის ბიჭი ა. ჰ. სომაკონი (ვრიბოედოვის ქ. № 20) და მისაბმელი ვაგონის ქვეშ მოჰყვა, რომელმაც მას გადასჭრა ხელი და ფეხი. ბავშვი იქნე გარდაიცვალა.

○ **გაუფრთხილებელი სვლა.** ნინოშვილის ქუჩაზე მიდიოდა საბარგო ავტო-მანქანა, რომელსაც მართავდა შოფერი ა. გ. ნანუაშვილი (პლეხანოვის პრ. № 55). მანქანას დიდი სისწრაფე განავითარა, ამ დროს ვარქცნაში მდგომმა შოფერის თანაშემწემ ს. გ. ბეჟოშვილმა (კლარა ცეტკინის ქ. № 43) ვერ შეიკავა თავი, ჯალმოვარდა მანქანიდან და დაშავდა.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

29 ივლისი.

პროპაგანდისტთა სკოლის მეცადინეობა (ყველა ჯგუფი). დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საკ. კ. პ (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემებზე: 1) „ბოლშევიკების პარტია სოციალისტური საზოგადოების შენებლობის დამთავრებისათვის ბრძოლაში და ახალი კონსტიტუციის გატარება" (1935—1937 წ. წ.)—ქართულ ენაზე. კონსულტანტი — ამხ. არ. შაიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე; 2) „ბოლშევიკების პარტია ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში" (1926—1929 წ. წ.) — რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემებზე: „შართლმადიდებელთა ღვთისმსახულების კლასობრივი შინაარსი" — რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. მალცევი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ალკ კაბინეტი — კონსულტაცია თემებზე: 1) „ესპანეთის ხალხის ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ" — ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. როყუა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 2) „დებულება საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" — ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

29 ივლისს, საღამოს 8 საათზე, 26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტატორებისა და აქტივისათვის შესდგება მოხსენება თემაზე: „დებულება საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ზრ. მუშიშვილი

დღეს სახკინმრჩენის თეატრებში

ოქტომბერი 7, 9, 11	ხმოვანი ფილმი **უკანასკნელი ჯვაროსნები**
დაკვრელი სახამთ. 6-30, სახაფხ. 9	ხმოვანი ფილმი **ფართოსანი მღებარი**
კომკავშირელი სახამთ. 6-30. სახაფხ. 9.	ხმოვანი ფილმი **ქალიშვილს ჰაემანზე მიეჩქარება**
რ. ლუქსემბ. სახ. 7. 3-45, 11	ხმოვანი ფილმი **ტომ სოიერი**
26 კომ. სახ. სახამთ. 6-30 სახაფხ. 9	ხმოვანი ფილმი **ჰეპო**
კომინტერნი 9, 11	ხმოვანი ფილმი **დნეპრი ელვარებს ალში**
არსენა (კიროვის სახ. რ.) 7, 8-40, 10 20	ხმოვანი ფილმი **უცნობი თვითმფრინავი**
ახალი ამბები	**სტალინის ტრასით**

საქართველოს სახელმწიფო თეატრი
29 ივლისს, ტალონი № 51
პ. ტოქარსკაიას
გამოსათხოვარი გამოსვლა
როზ-ვარი
30 ივლისს ტალონი № 52
ციშფერი მაზურკა

ღია ესტრადა
29 და 30 ივლისს
მუსიკ-ჰოლის
პროგრამის
უკანასკნელი დღეები

წით. არმ. სახლ. განყ. პარკი —საქფილეგთის ფილიალი
29 ივლისს
ესტრადის საღამო
30 ივლისს
ქალთა ჯაზი
2 განყ.

ღია ესტრადა
1 და 2 აგვისტოს
ცელესტინა კოოლისა და ჩეხოსლოვაკური ჯაზის
გასტროლები
ბილეთები იყიდება.

წით. არმ. სახლ. განყ. პარკი
დამსახ. არტ.
ი. დ. შადანის
უკანასკნელი კონცერტი

50

ზ. პ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და გალეტის სახ. თეატრი

სეზონი 1937-1938 წ.
გამოვიდა მუდმივი ადგილების ბილეთები
ცნობები მიიღება თეატრის სალაროში 12-დან 5 საათამდე ყოველდღე.
მუდმივი ადგილების **ბილეთების რაოდენობა განსაზღვრულია.**
3-3 75

ა. წ. 30 ივლისს, დილის 10 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (ლენრაიონი, საბჭოს ქ. № 128) **მოწვეულია მუშათა საბინაო სააღმშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის „თბილისის რკინიგზელის" წევრთა საერთო კრება.**
დღის წესრიგი: 1. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წლიური ანგარიში.
2. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
დასწრება სავალდებულოა.
17284 **გამგეობა.**

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტი 31 ივლისს, დილის 12 საათზე, საქ. მედსაშრომის პ/კ. ც. კ-ის ამხ. პროფილიტის სახ. კლუბში (კომინტერნის ქ., № 5)
იწვევს ინსტიტუტში შემსვლელთა საერთო კრებას.
დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.
1174 **თბ. სახ. სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია.**

თბილისის პუშკინის სახ. სამასწავლებლო ინსტიტუტი ამით აცხადებს, რომ
გამომცდელთათვის და მისაღებ გამოცდებზე დაშვებულ სტუდენტებისათვის 31 ივლისს, საღამოს 8 საათზე, შესდგება საინსტრუქციო მოხსენება ამავე ინსტიტუტის კლუბში. ვაკე, მარრის ქ. № 32.
278 **დირექტორი დოც. დოლიძე.**

ეძიმი
ა. დ. ქლენჯი
მინაგანი სნეულებანი. სპეციალურად ლუპაიწლავების სნეულებათა გაძოკვლევა-მკურნალობა. მიიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშა ბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

სარეწაო კავშირის ტყავსამმართველოში შემავალი არტელი „შემკეთებელი" ამით აცხადებს, რომ თანახმად არტელის წევრთა საერთო კრების დადგენილებისა, არტელ **„შემკეთებელს"** უერთდება არტელები: **„ჯუღლი"** და **„ფეხსაცმლის შემკეთებელი"** თაისი აქტივითა და პასივით ა/წ. 1-ლ აგვისტოდან.
ყოველგვარი პრეტენზიებით მიმართეთ გაერთიანებულ გამგეობას—არტელი **„შემკეთებელი"**, კიროვის რაიონში, თოდრიას ქ. № 27.
1622 **გამგეობა.**

მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალი
აცხადებს ასპირანტებიში მოწიგნ მიღებას შემდეგ დარგებზე:
1—საქართველოს ისტორია და არქეოლოგია.
2—ქართველური, კავკასიური და აღმოსავლეთის ძველი ენები.
3—ეთნოგრაფია.
4—გეოფიზიკა.
5—ასტროფიზიკა.
6—ზოოლოგია.
7—ქიმია.
გამოცდები დაიწყება 25 სექტემბრიდან. განცხადებები მიიღება 10 სექტემბრამდე. ყოველგვარი ცნობის მიღება შეიძლება მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის საქფილიალის ასპირანტურის განყოფილებაში (მახარაძის ჭუჩა, № 14).
მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის საქფილიალის პრეზიდიუმი.
278

სამუალო განათლება დაუსწრებლად
განსაკუთრებით მოზრდილთა განათლების სამმართველო
იწყებს განცხადებათა მიღებას 1937/38 სასწ. წლისათვის მოზრდილთა დაუსწრებელ ა/ს. საშუალო და საშუალო სკოლის მე-6, 7, 8 და 9 კლასებში. დაუსწრებელ სკოლაში მიიღება ყველა მშრომელი 16 წლიდან 40 წლის ასაკამდე.
მოზრდილთა დაუსწრებელი სკოლები მოწყობილია: აბაშის, ამბროლაურის, ბაღდათის, ბორჯომის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, ზუგდიდის, თელავის, თიანეთის, კასპის, ლანჩხუთის, მახარაძის, ონის, სამტრედიის, სიღნაღის, ტყიბულის, ქუთაისის, ქ/სვანეთის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ფოთის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წულუკიძის, ჭიათურის, ჯუღელის, ორჯონიკიძის, ხაშურის, ხობის რაიონებში, ქ. თბილისში და აჭარის ასსრ-ში
მსურველებმა უნდა მიმართონ დასახელებულ რაიონის განათლების განყოფილებას. მისაღები გამოცდები დაიწყება პირველ სექტემბერს.
მსმენელნი უზრუნველყოფილი იქნებიან სასწავლო გეგმით, სპეციალური პროგრამებით და წიგნებე მუშაობის მეთოდური მითითებებით.
მოზრდილთა განათლების სამმართველოს
უფროსი ბარამიძე.
1640

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეებისა: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს —3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, ბ.-მხ. მორგების — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", ქაოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—8281